



დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის 12 აგვისტო, 2021

საკონტაქტო პირი
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org, +995 577 77 96 39
ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი
media@ndi.org

NDI-ის კვლევა: ეკონომიკა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა კვლავ მთავარი პრიორიტეტებია; ქვეყნის მმართველობის მიმართ ნდობა კლებულობს

თბილისი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და CRRC-საქართველოს მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობას კვლავ აწუხებს ეკონომიკისა და ჯანდაცვის პრობლემები. რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრიზისისა და კორონავირუსის პანდემიის მიმდინარე შედეგების ფონზე, საზოგადოება პესიმისტურად არის განწყობილი ქვეყნის მიმართულებისა და ინსტიტუტების საქმიანობის მიმართ. მოქალაქეები არჩეული თანამდებობის პირებისგან მოსახლეობის საჭიროებებზე - ეკონომიკასა და სოციალურ პრობლემებზე - ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას ელიან.

კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის თავზე, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და კორონავირუსის გავლენა მოქალაქეებისთვის კვლავ მთავარ პრობლემებად რჩება. მოსახლეობა მათთვის და მათი ოჯახებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებად სამუშაო ადგილებს, სიღარიბესა და ფასების ზრდას/ინფლაციას ასახელებს, რაც პანდემიის ფონზე კიდევ უფრო გაუარესდა. უმრავლესობა (68 პროცენტი) ამბობს, რომ პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, ნაკლები რაოდენობის პროდუქტის, სურსათისა და სერვისის შეძენის ფინანსური საშუალება აქვს. გარდა ამისა, მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ამბობს, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ მათ ან სამსახური დაკარგეს (8 პროცენტი) ან შემოსავალი/ხელფასი შეუმცირდათ (13 პროცენტი). მოსახლეობის ყველაზე დიდი ჯგუფი ამბობს, რომ კვლავ უმუშევარია.

მოქალაქეების 42 პროცენტი ფიქრობს, რომ კორონავირუსის პანდემიასთან მიმართებაში ყველაზე ცუდი ჯერ კიდევ წინ არის. თითქმის ნახევარი (45 პროცენტი) ამბობს, რომ საქართველოში ვაქცინაციის პროცესი ცუდად მიმდინარეობს. საყურადღებოა, რომ მოქალაქეების 42 პროცენტს ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია არ აქვს. ინფორმაციის ნაკლებობა განსაკუთრებით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებში (47 პროცენტი). მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამბობს, რომ არ იცის თუ როგორ დარეგისტრირდეს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ვაქცინაციის ონლაინ პლატფორმაზე. ეს მაჩვენებელი სოფლის ტიპის დასახლებებში 71 პროცენტია. კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მიმართ სკეპტიციზმი კვლავ მაღალია. მხოლოდ 35 პროცენტი ამბობს, რომ აიცრებოდა, ხოლო 47 პროცენტი - არ აიცრებოდა. ვაქცინის მიმართ სკეპტიციზმი ყველაზე მეტად 55 წლამდე მოსახლეობაში, თბილისის გარეთ მცხოვრებ ადამიანებში და ეკონომიკურად ნაკლებად შეძლებულ მოქალაქეებში შეინიშნება. ვაქცინის მიმართ უარყოფითად განწყობილი ადამიანები მთავარ

მიზეზებად ვაქცინის ხარისხსა (47 პროცენტი) და ვაქცინის ჯანმრთელობის პრობლემებთან შეუთავსებლობას ასახელებენ (20 პროცენტი).

“ვაქცინაციის პროცესის გამართულობა და მოსახლეობის ინფორმირებისთვის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების გამოყენება გადამწყვეტ როლს ითამაშებს იმაში, რომ ხელისუფლებამ ამ უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა მოახერხოს. მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობამ, შესაძლოა, შეაფერხოს ვაქცინაციის პროცესი და მოქალაქეებს საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში შეუშალოს ხელი,” – განაცხადა ალან გილამმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა – “ქვეყნის მმართველობის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენა ყველა პოლიტიკური ლიდერის, განსაკუთებით ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხისმგებლობაა. ამისათვის კი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების (როგორცაა ეკონომიკა და ჯანდაცვა) გადაჭრის გზების მოძიებაა აუცილებელი. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების პრიორიტეტები არ განსხვავდება პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, რაც პოლიტიკური პარტიებისთვის ერთად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.”

პოლიტიკური კრიზისისა და კორონავირუსის პანდემის ორმაგმა გამოწვევამ ქვეყნის მიმართულებისა და პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნდობის შემცირებას შეუწყო ხელი. მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება (23 პროცენტი) და მხოლოდ 35 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველო დემოკრატიაა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2020 წლის აგვისტოსთან შედარებით; მაშინ მოსახლეობის 39 პროცენტი ამბობდა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდებოდა, ხოლო 48 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ქვეყანა დემოკრატია იყო. მსგავსი ტენდენცია მთავრობის საქმიანობის შეფასებაშიც შეინიშნება: მოქმედი მთავრობის საქმიანობას დადებითად მხოლოდ მესამედი აფასებს, მაშინ როდესაც 2020 წლის დეკემბერში ეს რიცხვი 50 პროცენტს შეადგენდა.

საზოგადოებას სურს, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტი ეკონომიკაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე გააკეთოს აქცენტი. სამწუხაროდ, მოსახლეობას არ სჯერა, რომ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობა პარლამენტის პრიორიტეტია; საზოგადოების ნახევარზე მეტი (55 პროცენტი) ამბობს, რომ პარლამენტი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კანონებს არ იღებს, ხოლო 54 პროცენტი ფიქრობს, რომ თუ პარლამენტის წევრს მის დასახლებაში არსებული პრობლემის შესახებ ეტყვის, ის ამ პრობლემის მოსაგვარებლად ნაბიჯებს არ გადადგამს. მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს მიაჩნია, რომ პარლამენტი რეგულარულად ეკონტაქტება მოქალაქეებს.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები. აღნიშნული კვლევა 13-25 ივლისის პერიოდში საქართველოს მასშტაბით 2,016 სატელეფონო ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1.3 პროცენტი. რესპონდენტები შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით შეირჩნენ.

NDI-ის კვლევები ფინანსდება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ. კვლევებს ატარებს CRRC საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორებთან ერთად მუშაობს, რომ გააძლიეროს და დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები, ნორმები და ღირებულებები, რათა ყველასთვის ცხოვრების უკეთესი ხარისხი უზრუნველყოს. NDI მსოფლიოს ხედავს როგორც ადგილს, სადაც დემოკრატია და თავისუფლება იმარჯვებს და ყველას ღირსება დაცულია.

***CRRC საქართველო** არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.crrc.ge*